## სპეციალური დასკვნა

**ქ. თბილისი, სოფ. დიღომი, აღმაშენებლის ხეივანი №180 (ს/კ 01.72.14.034.753), დასაპროექტებელი სავაჭრო ცენტრის მომიჯნავედ არსებული რესტორნის ნაგებობის (ს/კ 01.72.14.034.774), 2 სართულიანი შენობა სარდაფით და 1 სართულიანი უსარდაფო ნაგებობა (ს/კ 01.72.14.034.818) და მშენებარე ორბლოკიანი მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის (ს/კ 01.72.14.094.579) მდგრადობაზე, კორექტირებული პროექტის კონსტრუქციული ნაწილისათვის.**

არსებული რესტორნის შენობა (ს/კ 01.72.14.034.774), შედგება 3 დამოუკიდებელი ნაგებობისაგან, აღმაშენებლის ხეივნის მხრიდან განთავსებულია ნაგებობა, რომელიც შედგება ნაწილობრივ 1 სარდაფის სართულის და 1 მიწისზედა სართულისაგან.

შენობა წარმოადგენს კარკასული ტიპის ნაგებობას, რომლის საძირკველი წარმოადგენს წერტილოვანი საძირკვლებისა და რანდკოჭების ერთობლიობას.

სარდაფის კედლები რკინაბეტონის მონოლითური სისქით 30 სმ. საძირკვლის ძირის ნიშნული სარდაფიანი ნაწილის ქვეშ ტოლია -4.0 მ., ხოლო უსარდაფო ნაწილში -1.4 მ.

შენობაში გამოყენებულია სვეტები განივკვეთით 40X40-ზე, რიგელები 50X50, სართულშუა გადახურვებში გამოყენებულია მონოლითური ფილა სისქით 18 სმ. სახურავის კონსტრუქცია შესრულებულია ლითონის ფერმების მეშვეობით და გამოყენებულია №36, №45 ორტესებრი კვეთები და შველერი №14. კიბეები რკინაბეტონის მონოლითური.

არსებულ ნაგებობას არ აღენიშნება საძირკვლის ჯდენები, შესაბამისად მიწისზედა ნაწილშიც არ აღენიშნება დეფორმაციები, როგორც შენობის მზიდ ელემენტებში (კარკასი) ასევე შემავსებელში, აქედან გამომდინარე შენობა იმყოფება ცალსახად კარგ ტექნიკურ მდგომარეობაში.

ზემოთ აღნიშნული ნაგებობის უკან განთავსებულია 2 სართულიანი კარკასული ნაგებობა სარდაფით, რომლის საძირკვლის კონსტრუქციას წარმოადგენს წერტილოვანი საძირკვლებისა და რანდკოჭების ერთობლიობა, ხოლო ძირის ნიშნული ტოლია -3.5 მ.

სარდაფის კედლები რკინაბეტონის მონოლითური სისქით 30 სმ.

შენობაში გამოყენებულია სვეტები განივკვეთით 40X40-ზე, რიგელები 40X50, სართულ შუა გადახურვებში გამოყენებულია მონოლითური ფილა სისქით 16 სმ. კიბეები რკინაბეტონის მონოლითური.

არსებულ ნაგებობას, ისევე როგორც ზემოთ აღნიშნულს არ აღენიშნება საძირკვლის ჯდენები, შესაბამისად მიწისზედა ნაწილშიც არ აღენიშნება დეფორმაციები, როგორც შენობის მზიდ ელემენტებში (კარკასი) ასევე შემავსებელში, აქედან გამომდინარე შენობა იმყოფება ცალსახად კარგ ტექნიკურ მდგომარეობაში.

სამხრეთის მხრიდან განთავსებულია 1 სართულიანი ნაგებობა სარდაფის გარეშე, რომლის საძირკველს წარმოადგენს წერტილოვანი საძირკვლებისა და რანდკოჭების ერთობლიობა. საძირკვლის ძირის ნუშნული ტოლია -1.4 მ.

პირველი სართულის იატაკის გადახურვა მოწყობილია გრუნტზე.

შენობის მზიდ კონსტრუქციას წარმოადგენს რკინაბეტონის კარკასი: სვეტები განივკვეთით 40X40-ზე, რიგელები 40X60, სახურავი შესრულებულია ლითონის კონსტრუქციებში: ტესებრი №36 და №14-ის მეშვეობით.

შენობა იმყოფება ცალსახად კარგ ტექნიკურ მდგომარეობაში.

არსებულ ნაკვეთზე განთავსებული სამივე ნაგებობის დაფუძნებისათვის მიღებულია თიხა ყავისფერი, ნახევრად მყარი, ძნელპლასტიური კონსისტენციის წვრილი ღორღის და ხვინჭის იშვიათი ჩანაროებით, საანგარიშო წინაღობით $R_0$=2.7 კგძ/სმ$^2$.

ზემოთ აღნიშნული რესტორნის ნაგებობის (ს/კ 01.72.14.034.774) მიმდებარეთ დასავლეთის მხრიდან განთავსებულ ნაკვეთზე (ს/კ 01.72.14.034.753) უნდა განხორციელდეს სავაჭრო ცენტრის მშენებლობა, რომელიც წარმოადგენს 4 სართულიან ნაგებობას სარდაფით.

სამშენებლო უბანი ხასიათდება შემდეგი ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლებით:

1. სეისმურობა – 8 ბალი;
2. ქარის დატვირთვა – 70 კგძ/მ$^2$.;
3. თოვლის დატვირთვა – 50 კგძ/მ$^2$.

საძირკვლის ფუძედ მიღებულია რკინაბეტონის მონოლითური ფილა სისქით 0.8 მ. რომლის ძირის ნიშნული ტოლია -5.9 მ. ხოლო დაფუძნება ხდება იგივე გრუნტზე - თიხა ყავისფერი, ნახევრად მყარი, ძნელპლასტიური კონსისტენციის წვრილი ღორღის და ხვინჭის იშვიათი ჩანართებით, საანგარიშო წინაღობით $R_0$=2.7 კგძ/სმ$^2$. სარდაფის კედლები სისქით 30 სმ.

შენობის მზიდ კონსტრუქციად გამოყენებულია რკინაბეტონის მონოლითური კარკასი, სვეტები: (70X50, 60X50, 50X50), რიგელები: (50X60), სართულშუა გადახურვები მოწყობილია რკინაბეტონის მონოლითურ ფილაში სისქით 22 სმ. კიბები რკინაბეტონის მონოლითური.

არსებულ რესტორნის ნაგებობასა და დასაპროექტებელ სავაჭრო ცენტრს შორის მანძილი იცვლება 7.5 დან 8.0 მ.-მდე

ვინაიდან დასაპროექტებელი სავაჭრო ცენტრის საძირკვლის ძირის ნიშნულსა (-5.9 მ.) და არსებული რესტორნის ნაგებობის საძირკვლის ძირის ნიშნულებს (-1.4 და -4.0 მ.) მაქსიმალური დონეთა სხვაობა წარმოადგენს 4.5 მ.-ს, ხოლო მინიმალური დაშორება შენობებს შორის არის 7.5 მ. დასაპროექტებელი შენობის საძირკვლის ძირიდან გრუნტზე გადაცემული დატვირთვები ვერანაირ გავლენას ვერ მოახდენს რესტორნის შენობის საძირკველზე და მის მდგრადობაზე, ხოლო დასაპროექტებელი შენობის ქვაბულის ფერდის მოწყობა არსებული გეოლოგიური სიტუაციიდან და საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებიდან გამომდინარე შესაძლებელია ყოვლად უსაფრთხოდ ამ ნაკვეთის წითელ ხაზებში.

არქიტექტურული პროექტის კორექტირებულ ნაწილში ადრე შეთანხმებული პროექტისაგან განსხვავებით მოხდა შენობის 1 სართულით გაზრდა, ამავე დროს მოხდა სართულშუა გადახურვებზე მოდებული დროებითი დატვირთვების შემცირება ისე, რომ საძირკვლიდან ფუძეზე გადაცემული დატვირთვა არ შეცვლილა.

დამატებული სართულის მზიდ კონსტრუქციად გამოყენებულია რკინაბეტონის მონოლითური სვეტები, ხოლო გადახურვა ძირითადად შესრულებულია ლითონის ნაგლინი პროფილის მეშვეობით, ხოლო სახურავის კონსტრუქციად გამოყენებულია მსუბუქი გადახურვა (ეგრედ წოდებული სენდვიჩ-პანელები). რკინაბეტონის მონოლითური ფილით დახურულია მხოლოდ ლიფტის შახტები და კიბის უჯრედები.

საპროექტო ტერიოტორიის სამხრეთით (ს/კ 01.72.14.034.818) განთავსებულია 2 სართულიანი ნაგებობა სარდაფით, რომლის მზიდ კონსტრუქციებსაც წარმოადგენენ აგურის მზიდი კედლები ხოლო საძირკლვის კონსტრუქციას წარმოადგენს ლენტური საძირკვლები, რომლებიც

მიწის დონიდან ჩაღრმავებულია 3.4 მ. სიღრმეზე. არსებული შენობა დასაპროექტებელი სავაჭრო ცენტრიდან მოშორებულია 24-25 მეტრით, ვინაიდან საპროექტო შენობასა და არსებულ ნაგებობას შორის დაშორება არის ძალიან დიდი, საპროექტო შენობის გავლენა ამ ნაგებობაზე როგორც თეორიულად ასევე პრაქტიკულად გამორიცხულია. შენობა იმყოფება ცალსახად კარგ ტექნიკურ მდგომარეობაში.

, იმავე ტერიტორიაზე განთავსებულია 1 სართულიანი უსარდაფო ლითონის ნაგებობა, რომლის საძირკვლის კონსტრუქციას წარმოადგენს, წერტილოვანი საძირკვლებისა და მონოლითური ლენტური შემკრავი კოჭების ერთოლიობა.

საძირკვლები განთავსებულია მიწის ზედაპრიდან 1 მეტრის სიღრმეზე. არსებული 1 სართულიანი ნაგებობა დასაპროექტებელი სავაჭრო ცენტრიდან მოშორებულია 17-17.5 მეტრით. შენობა იმყოფება ცალსახად კარგ ტექნიკურ მდგომარეობაში.

საპროექტო შენობას ასევე სამხრეთით ესაზღვრება 2 ბლოკიანი მშენებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი, რომელიც საპროექტო შენობიდან მოშორებულია 12-13 და 20-21 მეტრით, ვინაიდან საპროექტო შენობასა და მშენებარე ნაგებობეს შორის დაშორება არის ძალიან დიდი, საპროექტო შენობის გავლენა ამ შენობებზე როგორც თეორიულად ასევე პრაქტიკულად გამორიცხულია.

როგორც ზემოთ არის აღნიშნული, სავაჭრო ცენტრის მიმდებარედ განთავსებული ყველა ნაგებობა იმყოფება ტექნიკურად ცალსახად კარგ მდგომარეობაში, ხოლო მანძილები რომლითაც ისი მოშორებულები არიან საპროექტო ტერიტორიიდან, და ასევე საპროექტო და არსებული შენობების

საძირკვლის ნიშნულები გვაძლევს იმის საშუალებას დავასკვნათ, რომ საპროექტო შენობის საძირკვლის გავლენა ზემოთ ჩამოთვლილ მომიჯნავე შენობებზე, როგორც თეორიულად ასევე პრაქტიკულად გამორიცხულია.

კორექტირებული პროექტის კონსტრუქციის გაანგარიშებები, ჩატარებულია გამოთვლითი კომპლექსის „LIRA Sapr 2016“-ის საშუალებით.

ყოველივე ზემოთ განხილულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ცალსახად დავასკვნათ, რომ სავაჭრო ცენტრის მშენებლობა მის გვერდზე არსებული ნაგებობების მდგრადობას საფრთხეს არ უქმნის. აქედან გამომდინარე არსებული და მშენებარე შენობების მდგრადობა ცალსახად უზრუნველყოფილია.

საკონსტრუქტორო განყ.

მთავარი სპეციალისტი

ინჟინერ-კონსტრუქტორი გ. რეხვიაშვილი

12.10.2020

საქართველოს რესპუბლიკა

მოქალაქის პირადობის მოწმობა



პირადი № 01008004584

სახელი გიორგი

გვარი რეხვიაშვილი

დაბადების თარიღი 24.06.1960 წ.

დაბადების ადგილი რუსეთი

ეროვნება ქართველი

პირადი ხელმოწერა

N° ბ 0123000

მისამართი თბილისი. ი. ჭავჭავაძის გამზ. № 51/2. ბ. 31.

მოწმობის გამცემი ორგანოს დასახელება თბილისის ვაკის რ-ნის შს სამმართველო

გაცემის თარიღი 15.08.1996 წ.

მოქმედების ვადა 15.06.2016 წ.

ბ.ა. თანამდებობის პირის ხელმოწერა

# საკვალიფიკაციო მონაცემი

| | |
|---|---|
| სახელი, გვარი: | **გიორგი რეხვიაშვილი** |
| დაბადების თარიღი | 24 ივნისი, 1960 წ |
| დაბადების ადგილი: | რუსეთი, ქ. კისლოვოდსკი |
| მოქალაქეობა: | საქართველოს მოქალაქე |
| ოჯახური მდგომარეობა: | დაქორწინებული |
| შვილები: | 3 ქალიშვილი |
| სახლის მისამართი: | ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. № 51, კორპ 2, ბ. 31<br>ტელეფონი: (995 32) 29 43 64 |
| სამსახურის მისამართი: | საქართველო, თბილისი 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. №2; ტელეფონი: (995 32) 237 52 28 |

**განათლება:**

1978-1983 წ.წ. საქ. პოლიტექნიკური ინსტიტუტი,
სპეციალობა - სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა

**პროფესიული გამოცდილება:**

1983 წლიდან 2010 წლამდე - სს „საქქალაქმშენპროექტი"- ინჟინერი, წამყვანი ინჟინერი, ჯგუფის ხელმძღვანელი, მთავარი სპეციალისტი-კონსტრუქტორი;

2010 წლის იანვრიდან დღემდე – შპს „ახალი საქქალაქმშენპროექტი" - მთავარი სპეციალისტი-კონსტრუქტორი;

**მნიშვნელოვანი საპროექტო სამუშაოები:**

- დას. საქართველოში მიწისძვრით დაზიანებული რაიონების აღდგენა;
- 19 ადმინისტრაციული, საკულტო, გასართობი და კვების ობიექტი
- მრავალი საცხ. სახლი, კოტეჯი, ბენზოგასამართი სადგური, ოფისი, საცხ. სახლების დაშენების პროექტები

ერთობლივი პროექტები:

- მაკდონალდსის რესტორანი დ. აღმაშენებლის გამზირზე, თბილისი;
- ქართულ ამერიკული სკოლა „მზიურის" ტერიტორიაზე, თბილისი;
- კათარზისის თავშესაფარი ისნის რაიონში, თბილისი;
- საბაჟო სადგურები „წითელი ხიდი" და „ყაზბეგი" (ინგლისურ-ქართულ ენოვანი პროექტირება კონსტრუქციული ნაწილის. ექსპერტიზა გაიარა ვისბადენისა და ვაშინგტონის ოფისებში);
- საბაჟო „ყაზბეგის" გაბიონების საყრდენი კედლები მდ. თერგზე;
- ყაზარმები და სამეთაურო პუნქტები საქ. სხვადასხვა რეგიონში;
- აჭარისა და იმერეთის რეგიონებში პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებები;
- ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის მწვავე ავარიული საცხოვრებელი სახლების აღდგენა-გამაგრება;
- საბაჟო-გამშვები პუნქტი „ვალე";
- საბაჟო-გამშვები პუნქტი „სარფი";
- 10-14 სართულიანი საცხოვრებელი სახლი თამარაშვილის ქუჩაზე (უცხო ენების ინსტიტუტის უკან);
- 16 სართულიანი ვარსკვლავების სახლი ყიფშიძის ქუჩაზე;
- 15-16 სართულიანი მრავალფუნქციური ცენტრი ავლაბარში, ქეთევან წამებულის გამზირისა და შავი ზღვის ქუჩის გადაკვეთაზე;
- 6 მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი ტაბიძის და ბარნოვის ქუჩებზე და „მზიურის" ტერიტორიაზე;

- „აოსის“ 22 საოთულიანი სავაჭრო ცენტრი (სიმაღლით 82 მ) ქ. ბათუმში;
- 410-ბინიანი 18 სართულიანი საცხოვრებელი სახლი ქ. ბათუმში, ხიმშიაშვილის ქ.;
- საცხოვრებელი სახლები ქავთარაძის ქუჩაზე;
- „არსის“ სავაჭრო ცენტრი – ქარვასლა ქ. თბილისში;
- „ოლიმპიური ვარსკვლავის“ მრავალფუნქციური ობიექტი საბურთალოს ბაზრის ტერიტორიაზე (32-სართულიანი საოფისე ნაწილით);
- „მუხიანის ვარსკვლავის“ სავაჭრო ცენტრი მუხიანში;
- 25-სართულიანი საცხოვრებელი სახლი მიშველაძის ქუჩაზე, ვაკის პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე;
- „დრიმ თაუნი“ ქავთარაძის ბაზრის ტერიტორიაზე, 22-25 სართულიანი საცხოვრებელი კორპუსები;
- თბილისში 12 ავარიული საცხოვრებელი სახლის აღდგენა გამაგრების პროექტის ექსპერტიზა;
- ონის რაიონში მიწისძერის შედეგად დაზიანებული სახლების აღდგენა-გამაგრების პროექტები;
- 15 და 25 საწოლიანი საავადმყოფოების ტიპიური და მიბმის პროექტები.
- ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, 9 საყრდენი კედლის აღდგენა-მოწყობა;
- საავადმყოფოების მშენებლობის ზედამხედველობა;
- სოციალური მომსახურების ცენტრები საქართველოს მასშტაბით;
- დაბა სტეფანწმინდაში სასტუმრო „ყაზბეგი“-ს რეკონსტრუქცია;
- საქ. უზენაესი სასამართლოს რეკონსტრუქცია (II და VI სართ).

ენების ცოდნა: ქართული (მშობლიური), რუსული (თავისუფლად), ინგლისური (სუსტად)

კომპიუტერის ცოდნა: AutoCAD, Exsel, Word

დირექტორი ბ. მირიანაშვილი

# დიპლომი

ЛВ № 050495

ეს დიპლომი მიეცა გიორგი ოთარის ძე რეხვიაშვილს

მასზე, რომ იგი 1978 წელს შევიდა საქართველოს ვ.ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში

და 1983 წელს დაამთავრა ამავე ინსტიტუტის

სრული კურსი სპეციალობით სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1983 წ. „5" ივლისის გადაწყვეტილებით გ.ო. რეხვიაშვილს მიენიჭა ინჟინერ მშენებლის კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

რექტორი

მდივანი

ბ. ა.

ქალაქი თბილისი 1984 წ. „24" X

სარეგისტრაციო № 2201

Грузинский яз.

# ДИПЛОМ

61

ЛВ № 050495

Настоящий диплом выдан Рехвиашвили Георгию Отаровичу

в том, что он в 1978 году поступил в Грузинский политехнический институт им. В.И. Ленина

и в 1983 году окончил полный курс названного института

по специальности промышленное и гражданское строительство

Решением Государственной экзаменационной комиссии от „5" июля 1983 г. Рехвиашвили Г.О присвоена квалификация инженера строителя

Председатель Государственной экзаменационной комиссии

Ректор

Секретарь

М. П.

Город Тбилиси „24" X 1984 г.

Регистрационный № 2201

Московская типография Гознака. 1983.